



კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

სტრატეგიული  
განვითარების  
გეგმა (2021-  
2027)

## სარჩევი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ.....	2
სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი .....	3
SWOT - ანალიზი.....	4
მისია .....	6
ხედვა .....	6
ღირებულებები.....	6
კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიზნები .....	7
პრიორიტეტების განსაზღვრა .....	7
სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027 .....	8
სტრატეგიული განვითარების გეგმაში კორექტივების შეტანა .....	20
მონიტორინგი და შეფასება .....	20
ზოგადი რეკომენდაციები .....	21

## ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს ბარაკონი ერთ-ერთი ადრე დაარსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. იგი 1992 წლიდან პროფესიული სტუდენტებისთვის მათთვის სასურველი პროფესიებით უზრუნველყოფაზე ზრუნავს.

თავდაპირველად კოლეჯი ბარაკონი საზოგადოებამ რკინიგზის საავადმყოფოს ბაზაზე არსებული სამედიცინო დაწესებულების სტატუსით გაიხსნა. მედდა, ბეზიაქალი, მასაჟისტი, კბილის ტექნიკოსი, ფარმაცევტი – ეს კოლეჯ ბარაკონის პირველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალია. პირველი პროფესიული სტუდენტებიც ბარაკონმა სწორედ დაარსების პირველივე წელს, 1992 წელს მიიღო.

გამოცდილების ზრდასთან ერთად, კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებს ახალი მიმართულებები – კომპიუტინგი/ინფორმატიკა, ბიზნესის ადმინისტრირება და განათლება დაემატა. დღეისათვის კოლეჯში პროფესიების მრავალფეროვანი არჩევანი და სწავლების მაღალი ხარისხია. ბარაკონი ახორციელებს როგორც გრძელვადიან დიპლომირებულ, ისე მოკლევადიან სერტიფიცირებულ პროგრამებს. კოლეჯის კურსდამთავრებულების დიპლომებს სახელმწიფო ყველა ეტაპზე აღიარებდა.

ბარაკონმა წარმატებით გაიარა ლიცენზირება 1992 წელს, შემდეგ – 2008-ში. 2013 წელს საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი მიენიჭა, ხოლო 2018 წლის 13 ივლისს კოლეჯმა წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია და 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია.

კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებით, კოლეჯის შინაგანაწესითა და წესდებით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) N4, სართული VI

[www.barakoni.edu.ge](http://www.barakoni.edu.ge)

[info@barakoni.edu.ge](mailto:info@barakoni.edu.ge)

ტელ: 2 30 80 86; (+995) 99 50 40 52; (+995) 99 51 25 24

## სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

შპს ბარაკონის 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს კოლეჯის პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად, აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად და ადგენს შედეგების ინდიკატორებს პროგრესის შესაფასებლად. შესაბამისად, იგი მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ მიმართულებებს/მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია ყველა ის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები, რომლებსაც 2021 წლიდან შვიდი წლის განმავლობაში, 2027 წლის ჩათვლით, განახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია ჩართულ მხარეებთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აღწერს დაგეგმილ საქმიანობას და მისაღწევ შედეგებს. ეს გეგმა მოიცავს მოკლე, საშუალოვადიან და გრძელვადიან ღონისძიებებს და მოქნილია, რაც იძლევა მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საშუალებას, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად. სტრატეგიული განვითარების გეგმის მოთხოვნათა ზედმიწევნით და დროულად შესრულება წარმოადგენს კოლეჯის ადმინისტრაციის მიზანმიმართულობის, ეფექტურობისა და სტაბილურობის მთავარ გარანტიას.

შპს ბარაკონის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ, განისაზღვრა არსებული სიტუაცია, ძირითადი პრობლემები, შესაძლო გამომწვევი გარე და შიდა ფაქტორები და მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. SWOT-ანალიზის შემუშავების შემდეგ კომისიამ განიხილა მისიის განაცხადი და საჭიროდ მიიჩნია მისი გადახედვა. მისიის ცვლილებამ განაპირობა ხედვისა და ღირებულებების გადახედვის აუცილებლობა. კომისიის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტი დაიგზავნა კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით, გასაჯაროვდა ვებგვერდის მეშვეობით და საზოგადოებას ჰქონდა საშუალება გამოეთქვა მოსაზრებები, გაეზიარებინა საკუთარი უკუკავშირი 10 დღის ვადაში. შემუშავებული პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა zoom პლატფორმის გამოყენებით. საჯარო განხილვის შემდეგ, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული მისია, ხედვა, ღირებულებები წარედგინა დირექტორს.

მისიის, ხედვის, ღირებულებების საფუძველზე, კომისიამ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი. საჯარო განხილვის გამართვის თარიღამდე, აღნიშნულის შესახებ გონივრულ ვადაში ეცნობა დაინტერესებულ მხარეებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი დაიგზავნა კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით და განთავსდა კოლეჯის ვებგვერდზე. ჩართულ მხარეებს შენიშვნებისა და კომენტარებისთვის მიეცათ 10 დღიანი ვადა. პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა zoom პლატფორმის გამოყენებით. საჯარო განხილვის შემდეგ, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი განსახილველად გადაეცა დამფუძნებელთა საბჭოს. დამფუძნებელთა საბჭოს მიერ დადებითად შეფასებული სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცდა კოლეჯის დირექტორის მიერ.

აქედან გამომდინარე, სტრატეგიული განვითარების გეგმა სრულად გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ, რადგან სტრატეგიული დაგეგმვა განხორციელდა გუნდურად და ეს იყო თანამონაწილეობითი პროცესი, რამაც უზრუნველყო კოლეჯის პერსონალის და სხვა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. პროცესში ჩართულობით მონაწილეები გახდნენ მათ მიერ შექმნილი სტრატეგიის აშკარა მხარდამჭერები.

## SWOT - ანალიზი

სტრატეგიული გეგმა დაეფუძნა კოლეჯის სიტუაციურ ანალიზს - SWOT ანალიზს, რომლის შედეგად გამოიკვეთა შიდა და გარე ფაქტორები და დადგინდა ის მხარეები, რომლებიც ხელს უწყობენ ან უშლიან ორგანიზაციას, მისი მისიის აღსრულებაში.

შესაბამისად, SWOT ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სტრატეგიული პრიორიტეტები/ მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები.

<b>ძლიერი მხარეები</b>	<b>სუსტი მხარეები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;</li> <li>▪ სტანდარტის შესაბამისად მოწყობილი კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</li> <li>▪ სტანდარტის შესაბამისად განახლებული კომპიუტერული ლაბორატორია;</li> <li>▪ კოლეჯსა და პარტნიორ დაწესებულებებში/საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე არსებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;</li> <li>▪ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აღჭურვილი თანამედროვე ლიტერატურით (წიგნები ბეჭდური და ელექტრონული მატარებლებით);</li> <li>▪ კვალიფიციური და მოტივირებული პერსონალი;</li> <li>▪ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (განათლების ხელმისაწვდომობა და თანაბარი შესაძლებლობები პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის);</li> <li>▪ პროგრამების და ინსტიტუციურ ხარისხის უზრუნველყოფაზე ზრუნვა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კოლეჯის შესახებ დაბალი ცნობადობა;</li> <li>▪ პროფესიულ სტუდენტთა დაბალი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებულ აქტივობებში;</li> <li>▪ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისათვის შეზღუდული ფინანსური რესურსი;</li> <li>▪ კერძო სექტორის პასიურობა.</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>▪ თანამშრომლობა ისეთ პარტნიორ დაწესებულებებთან, რომლებიც გამოირჩევიან პროფესიული სტუდენტების შემდგომი დასაქმებით;</li> <li>▪ თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე.</li> </ul>	
<p><b>შესაძლებლობები</b></p>	<p><b>საფრთხეები</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;</li> <li>▪ „საგანმანათლებლო ჩიხის“ აღმოფხვრის შესაძლებლობიდან გამომდინარე, საშუალო/მეოთხე დონის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ/ებ/ის დანერგვა/განვითარება;</li> <li>▪ პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;</li> <li>▪ მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;</li> <li>▪ დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვა;</li> <li>▪ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება/გაუმჯობესება;</li> <li>▪ ზედაპირული და მიმდინარე რემონტის განხორციელება;</li> <li>▪ განათლების სისტემაში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა;</li> <li>▪ მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა;</li> <li>▪ პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და უწყვეტი პროფესიული განვითარება;</li> <li>▪ აქტიური თანამშრომლობის ჩამოყალიბება/განვითარება საჯარო და კერძო სექტორთან პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების მიზნით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პროფესიული განათლების არასაკმარისი პოპულარიზაცია და ნაკლებპრესტიჟულობა;</li> <li>▪ სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;</li> <li>▪ ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;</li> <li>▪ საკანონმდებლო ცვლილებებიდან/პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, არაკონკურენტული გარემოს შექმნა/არსებობა;</li> <li>▪ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა;</li> <li>▪ გლობალური ან/და ადგილობრივი ფორსმაჟორული სიტუაციები და გამოწვევები.</li> </ul>

შესაბამისად, SWOT ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა სტრატეგიული მიზნები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა ამოცანები და ინდიკატორები.

## მისია

კოლეჯ ბარაკონის მისიაა თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საგანმანათლებლო და სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში მრავალფეროვანი და ხარისხიანი პროგრამების შეთავაზებით, შექმნას პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო მიზნების მიღწევითვის უსაფრთხო სასწავლო გარემო და პროფესიული სტუდენტების წარმატებული დასაქმებისთვის პირობები, რათა მათ შეეძინონ ცოდნა პროფესიისა და კარიერის შესახებ კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის განვითარების გზით.

## ხედვა

კოლეჯის ხედვაა შექმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც პასუხობს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს და აძლევს მათ შესაძლებლობებს გაუმკლავდნენ გამოწვევებს და იყვნენ აქტიური მონაწილეები ჩვენი ქვეყნის მომავლის განსაზღვრის საქმეში. ამ მიზნით, კოლეჯი გეგმავს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიოს შემდეგ ათწლეულში, რათა გახდეს მოდელი კოლეჯი, რომლის კურსდამრთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი იქნება 70%-ზე მაღალი.

## ღირებულებები

**კოლეჯი დაარსდა პრინციპით - განათლებამ უნდა აამაღლოს ადამიანის ღირსება და ხელი შეუწყოს სამოქალაქო პასუხისმგებლობას და თანაგრძნობას**

კოლეჯი გაერთიანებულია შემდეგი ძირითადი ღირებულებების გარშემო:

**მრავალფეროვნება:** ყველა სტუდენტის მრავალფეროვანი ღირებულებები, მიზნები, განსხვავებული შესაძლებლობები და სწავლების სტრატეგიები აღიარებული და მხარდაჭერილია.

**პროგრამების წარმატებით დასრულება:** სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილებით მიაღწიონ მრავალფეროვან მიზნებს.

**პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა:** პროგრამების სისტემატიური მონიტორინგი, რათა პროგრამის წარმატებით დასრულება გაუტოლდეს კონკურენტულ პოზიციას შრომის ბაზარზე.

**ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა:** ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის ადმინისტრაციული, დამხმარე სამსახურების შესაბამისობის შესწავლა და მუდმივი გაუმჯობესება კოლეჯის ხედვის, მისიისა და მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

**მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა:** წახალისებულია ენთუზიასტი, დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებიც პიროვნული ზრდისკენ ისწრაფვიან.

**თანამშრომლობა:** ფასდება გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა და დაინტერესებული მხარეებისგან ინფორმაციის მიღება.

**ერთიანობა:** ყველა საქმიანობა მიმართულია კოლეჯის მიზნების, გეგმების, პრიორიტეტების მისაღწევად.



## **კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიზნები**

სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა 5 სტრატეგიული მიზანი, რომლებზეც კოლეჯი შემდგომი 7 წლის განმავლობაში იმუშავებს. კერძოდ:

**სტრატეგიული მიზანი 1** - შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, დამატება;

- დამსაქმებლების, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, კოლეჯი პერმანენტულად იზრუნებს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვაზე, შექმნის და განავითარებს მოკლევადიან პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ტრენინგკურსებს, მათ შორის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის (LLL) ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობით.

**სტრატეგიული მიზანი 2** - პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;

- კოლეჯი იყენებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ისეთ სისტემას, რომელიც ეფუძნება კვლევას და კვლევის შედეგების გამოყენებას პროგრამების შემდგომი განვითარების კუთხით.

**სტრატეგიული მიზანი 3** - კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა;

- კოლეჯი ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, არსებული ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადებაზე, ახალი კადრების მოზიდვასა და სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე.

**სტრატეგიული მიზანი 4** - კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზება;

- კოლეჯი ორიენტირებულია, მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებით იზრუნოს პროფესიული განათლების მიმართ, დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლებაზე.

**სტრატეგიული მიზანი 5** - მატერიალური რესურსის განვითარება.

- კოლეჯი ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდაზე, რომლებსაც შევთავაზებთ ხარისხიან პროგრამებს. პროფესიულ სტუდენტთა ზრდა პირდაპირ კავშირშია შემოსავლებთან და ფინანსურ სტაბილურობასთან. ფინანსური სტაბილურობის საფუძველზე, კოლეჯი იზრუნებს ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის განვითარებაზე.



## სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027

სტრატეგიული მიზანი N1 – შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, დამატება

№	ამოცანა	რესურსი	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რისკები	
			2021	2022	2023	2024	2025	2026	2027				
1.1	ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამატება	ადამიანური რესურსი; ფინანსური რესურსი; მატერიალური რესურსი	x	x		x			x		დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამები; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	დირექტორის მოადგილე	პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების ხშირი ცვლილება; დამატებითი ფინანსური რესურსის საჭიროება ან/და ფინანსური რესურსის არასაკმარისობა
1.2	მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფციის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, დამატება		x	x		x			x		დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები; სასერტიფიკატო პროგრამების		

										შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება; პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება.		
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	---	--	--

**სტრატეგიული მიზანი N2 – პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა**

ამოცანა	რესურსი	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რისკები	
		2021	2022	2023	2024	2025	2026	2027				
2.1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხარისხის მონიტორინგი	ადამიანური რესურსი; შემუშავებული კითხვარები; მონიტორინგი ს გეგმა	x	x	x	x	x	x	x	შემუშავებული კალენდარული გეგმები; შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები; საკონტაქტო საათზე დასწრების მაჩვენებელი; პრაქტიკის ობიექტებში საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი	დირექტორის მოადგილე	

2.2	მთელი სიცოცლის განმავლობაში სწავლის კონცეფციის ფარგლებში პროგრამების სწავლების ხარისხის მონიტორინგი	ადამიანური რესურსი; შემუშავებული კითხვარები;	x	x	x	x	x	x	x	შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები; საკონტაქტო საათზე დასწრების მაჩვენებელი		
2.3	შეფასების სისტემის მონიტორინგი/ვერიფიკაცია	ადამიანური რესურსი	x	x	x	x	x	x	x	შეფასების სისტემის მონიტორინგის შედეგები; შემუშავებული ვერიფიკაციის დასკვნები; შემუშავებული ვერიფიკაციის შედეგების ანგარიში; შემუშავებული რეკომენდაციები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	
2.4	პროგრამების ხარისხის შესაფასებლად კვლევების ორგანიზება და ჩატარება	ადამიანური რესურსი; მატერიალური რესურსი; შემუშავებული კითხვარები	x	x	x	x	x	x	x	განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით; გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის		ჩართულ მხარეთა ზედაპირული დამოკიდებულება კითხვარების შევსებისას

									<p>განმახორციელებელ          ი          პირების/ინსტრუქტო          რების, პროფესიული          სტუდენტების და          სხვა პირთა          რაოდენობა;          პროფესიული          განათლების          მასწავლებლების/მო          დულის          განმახორციელებელ          ი          პირების/ინსტრუქტო          რების, პროფესიული          სტუდენტების და          სხვა პირთა          გამოკითხვის          შედეგები;          მიღებული          მონაცემების          დამუშავება და          ანგარიშის          შემუშავება;          გამოკითხვის          შედეგებიდან          მიღებული          რეკომენდაციების          გათვალისწინებით          განვითარებული          პროფესიული          საგანმანათლებლო          პროგრამები;</p>
--	--	--	--	--	--	--	--	--	--

										შემუშავებული რეკომენდაციები		
2.5	კურსდამრთავრებულთა კვლევის ორგანიზება და ჩატარება	ადამიანური რესურსი; მატერიალური რესურსი; შემუშავებული კითხვარები	x	x	x	x	x	x	x	x	განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით; გამოკითხულ კურსდამრთავრებულთა რაოდენობა; კურსდამრთავრებულთა გამოკითხვის შედეგები; მიღებული მონაცემების დამუშავება და ანგარიშის შემუშავება; შემუშავებული რეკომენდაციები	
2.6	განთესვის მაჩვენებლის შესწავლა	ადამიანური რესურსი	x	x	x	x	x	x	x	x	სტატუსშეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტთა მაჩვენებელი; განთესვის საფუძველების შესწავლა;	

										განთესვის საფუძვლების ანალიზი; შემუშავებული რეკომენდაციები		
2.7	სსსმ/შშმ პირებისთვის ადაპტირებული სწავლების მეთოდების განვითარება	ადამიანური რესურსი; ფინანსური რესურსი; მატერიალური რესურსი	x	x	x	x	x	x	x	სსსმ და შშმ პირთა კონსულტირება პროფესიული განათლების მასწავლებლების/მო დულის განმახორციელებელ ი პირების/ინსტრუქტო რების მიერ; შემუშავებული ადაპტირებული რესურსები	ინკლუზიის სპეციალისტი	

**სტრატეგიული მიზანი N3 - კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა**

ამოცანა	რესურსი	წლები								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რისკები
		2021	2022	2023	2024	2025	2026	2027				
3.1	რეგულაციების გადახედვა- გაუმჯობესება სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით	ადამიანური რესურსი	x	x	x	x	x	x	x	განახლებული რეგულაციები; სტანდარტთან შესაბამისობით შემუშავებული რეგულაციები	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	დაინტერესებულ/ ჩართულ მხარეთა დაბალი ჩართულობა

3.2	ადამიანური რესურსის მუშაობის შეფასება	ადამიანური რესურსი; მატერიალური რესურსი	x	x	x	x	x	x	x	x	შემუშავებული კითხვარი; ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად განხორციელებული კვლევა; კვლევის შედეგების ანალიზი; შემუშავებული კვლევის ანგარიში; შემუშავებული რეკომენდაციები	
3.3	პერსონალის გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება	ადამიანური რესურსი; მატერიალური რესურსი	x	x	x	x	x	x	x	x	შემუშავებული სატრენინგო პროგრამა; ადამიანური რესურსის/პროფ. მასწავლებელთა/ინს ტრუქტორთა წილი, რომლებმაც გაიარეს/გადიან ტრენინგი; ჩატარებული ტრენინგების მაჩვენებელი	



3.4	თვითშეფასებისა და ავტორიზაციისთვის მომზადება	ადამიანური რესურსი; მატერიალური რესურსი; ფინანსური რესურსი			x	x		x		შემუშავებული თვითშეფასების ანგარიშები; შემუშავებული ავტორიზაციის კითხვარი	
-----	--	--	--	--	---	---	--	---	--	---	--

**სტრატეგიული მიზანი N4 - კოლექტის ცნობადობის გაზრდა და ექსტრაკორპორული აქტივობების ორგანიზება**

ამოცანა	რესურსი	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რისკები	
		2021	2022	2023	2024	2025	2026	2027				
4.1	ბრენდის განვითარება	ადამიანური რესურსი; მატერიალური რესურსი; ფინანსური რესურსი; მოწვეული სტუმრები; დაინტერესებული მხარეები	x	x	x	x	x	x	x	ციფრული მარკეტინგის (ვებგვერდი, აქტიური სოციალური მედიის გვერდები, Facebook და/ან Google რეკლამა) განხორციელება; ვებგვერდისა და სოციალური მედიის გვერდების განახლება; სიახლეების განთავსება	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტი	დაინტერესებულ მხარეთა დაბალი ჩართულობა
4.2	საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება		x	x	x	x	x	x	x	ვიზიტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;		

										„ღია კარის“ დღეების ორგანიზება; სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (მშობელი, რეგისტრანტი, მასწავლებელი და ა.შ) ინფორმირების ხარისხი (შეხვედრების რაოდენობა)
4.3	ექსტრაკურთკულური აქტივობების ორგანიზება		x	x	x	x	x	x	x	სხვადასხვა ლონისძიებების, შეხვედრების და ექსკურსიების ორგანიზება; ლონისძიებების, შეხვედრების, ექსკურსიების მაჩვენებელი
4.4	პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებული ლონისძიებების ორგანიზება		x	x	x	x	x	x	x	დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მაჩვენებელი; სამუშაო შეხვედრების მაჩვენებელი; პროფესიული სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური

										კონსულტაციების მაჩვენებელი; მომიებული ვაკანსიები; პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამრთავრებუ ლთა ინფორმირების მაჩვენებელი		
--	--	--	--	--	--	--	--	--	--	---	--	--

**სტრატეგიული მიზანი N5 - მატერიალური რესურსის განვითარება**

ამოცანა	რესურსი	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი	რისკები	
		2021	2022	2023	2024	2025	2026	2027				
5.1	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, გაუმჯობესება	ადამიანური რესურსი; ფინანსური რესურსი	x	x	x	x	x	x	x	შეძენილი ტექნიკური აღჭურვილობის მაჩვენებელი; შეძენილი/განახლებული ინვენტარის რაოდენობა/მაჩვენებელი; შეძენილი მასალა-ნადლეულის მაჩვენებელი; მატერიალური რესურსის გაუმჯობესებაზე დახარჯული თანხა	ფინანსური მენეჯერი	ფინანსების არასკმარისი რაოდენობა

5.2	საბიბლიოთეკო სერვისების და რესურსების განვითარება პროგრამების მიხედვით
5.3	უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გადამოწმება, მუდმივი განვითარება

x	x	x	x	x	x	x	შეძენილი წიგნების რაოდენობა; განახლებული საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული საძიებო სისტემა; განახლებული საბიბლიოთეკო სერვისები; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიით აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე; განახლებული საბიბლიოთეკო სივრცე	ბიბლიოთეკარი
x	x	x	x	x	x	x	განახლებული უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები; უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების განახლებაზე დახარჯული თანხა	უსაფრთხოების სპეციალისტი

5.4	საინფორმაციო, ელექტრონული სერვისების დანერგვა, განვითარება		x	x	x	x	x	x	x	გონივრულ ვადებში განახლებული ვებ გვერდი; გონივრულ ვადებში განახლებული სოციალური მედიის გვერდები; დანერგილი სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამა.	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტი	
-----	---	--	---	---	---	---	---	---	---	--	---	--

## სტრატეგიული განვითარების გეგმაში კორექტივების შეტანა

სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა შესაძლებელია განხორციელდეს სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილება შესაძლებელია განპირობებული იყოს დაწესებულების ძირითადი მიმართულების (პროფილის), ან/და მახასიათებლების ცვლილებით, ან/და წინა წლის შედეგების ანალიზის, ან/და სხვა ობიექტური გარემოებით.

შპს ბარაკონის სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე კომისია აანალიზებს სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის შექმნილ შუალედურ და წლიურ ანგარიშებს და მიღებული შედეგების მეშვეობით ახდენს სტრატეგიული მიზნების კორექტირებას.

თუ სტრატეგიული მიზანი მიიღწევა, მაშინ სამოქმედო გეგმაზე მომუშავე კომისია ეცდება სტატუს-ქვოს შენარჩუნებას და შედეგების გაუმჯობესებას.

თუ სტრატეგიული მიზანი ვერ სრულდება და განხორციელებული გეგმის აქტივობათა შედეგები არაადაკმაყოფილებელია, მაშინ კომისია დეტალურად განიხილავს პრობლემებს და ეცდება გამონახოს დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსი, რათა მომავალ წელს შედეგები გაუმჯობესდეს.

## მონიტორინგი და შეფასება

სამოქმედო გეგმით გაწერილი შესაბამისი მიმართულების პასუხისმგებელი პირები შემსრულებლებთან ერთად უზრუნველყოფენ მონიტორინგს და 6 თვეში ერთხელ წარადგენენ ინფორმაციას კომისიის წინაშე. შუალედური შეფასებისას მიღებული ინფორმაციის სამოქმედო გეგმასთან შესაძლო შეუსაბამისობის შემთხვევაში კომისია გამოავლენს ხარვეზებს. გამოვლენილი ხარვეზების მიხედვით კომისიის მიერ იგეგმება სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი მაკორექტირებელი ქმედებების პროექტი და წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად. კომისიის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი პროექტის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამოქმედო გეგმით გაწერილი პასუხისმგებელი პირები და შემსრულებლები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ქმედებები.

6 თვეში ერთხელ მიღებული ანგარიშების შეჯამებით კომისიის ხელმძღვანელი ადგენს წლიურ ანგარიშს და წარუდგენს დირექტორს არაუგვიანეს მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30 კალენდარული დღისა. თითოეული აქტივობის შეფასება ხორციელდება შესრულების ინდიკატორის სტატუსიდან გამომდინარე. აქტივობის განხორციელების პროგრესი პროცენტული მაჩვენებლითაა წარმოდგენილი.

## ზოგადი რეკომენდაციები

- ა) სამუშაოს განაწილებისას მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს თანამშრომლის შემოქმედებითი უნარი და მოტივირებულობა;
- ბ) სამუშაოს განაწილებისას მნიშვნელოვანია თანამშრომელს კარგად ესმოდეს მასზე დაკისრებული დავალების შინაარსი და მნიშვნელობა;
- გ) თითოეული დავალება იყოს მაქსიმალურად კონკრეტული;
- დ) სასურველია პროექტებში ჩართული თითოეული თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იყოს ნულოვანი ტოლერანტობა;
- ე) მნიშვნელოვანია ზრუნვა თანამშრომელთა პოზიტიურ განწყობაზე და მათ მოტივირებაზე;
- ვ) სასურველია დავალების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყოს ერთი თანამშრომელი;
- ზ) მისასალმებელია სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში ჩართულობა და არა ჩარევა;
- თ) რეკომენდირებულია სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის ეტაპობრივი შემოწმება წინასწარ განსაზღვრული გრაფიკით.